თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების კრებული

XVI

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, თ. ლაზარაშვილი, ვლ. პაპავა, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი 2023

UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)

ბ - 121

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
2023

ISSN 1987 – 6904

PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS

OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

XVI

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, L. Totladze

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU
TBILISI 2023

UDC (ეროვ) 061.62: 33(479.22)(045)
ბ – 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
2023

ISSN 1987 - 6904

ვლადიმერ პაპავა

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები, რომელთა წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიის არარსებობა იყო. ცალკე საფრთხეს ქმნიდა ის, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკა არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ ქვეყანას სახელმწიფოებრიობისათვის შესაბამისი ინსტიტუციები. შესწავლილია მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორივე გზისთვის – „შოკური თერაპიისა“ და „გრადუალიზმისთვის“ – დამახასიათებელი ეკონომიკური საფრთხეები.*

შესავალი

ეკონომიკური მეცნიერების ისტორია ცხადყოფს, რომ სოციალური მეცნიერების ეს დარგი ყოველთვის ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით აისახებოდა, რომ ის არც თუ იშვიათად ეკონომიკურ პრაქტიკას არსებითად ჩამორჩებოდა, რის დაძლევას, როგორც წესი, რამდენიმე წელი სჭირდებოდა [Heilbroner, Milberg, 1996].

ფაქტია რომ, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმი ჩამოიშალა, ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებულმა პრობლემებმა ერთხელ კიდევ იჩინა თავი, რადგანაც გაირკვა, რომ მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორია არ არსებობდა [Papava, 2005b; Бертенев, 1996, с. 301] და რომ ეს გადასვლა კლასიკური სქემების საფუძველზე ვერ აიხსნებოდა [Ноув, 1993].

ბუნებრივია, რომ მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიის არარსებობის პირობებში ვერც იმის წინასწარი გააზრება იქნებოდა შესაძლებელი, თუ რა საფრთხეების წინაშე აღმოჩნდებოდნენ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნები. ამას ისიც დაემატა, რომ ფედერაციული სახელმ-

წიფოების (სსრკ, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია) დაშლის შედეგად შეიქმნენ ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომელთაც სახელმწიფოებრიობისთვის დამახასიათებელი ინსტიტუციები ფაქტობრივად არ გააჩნდათ და ისინი პრაქტიკულად „ნულიდან“ იყო შესაქმნელი [Balcerowicz, 1995, p. 146; Milanvic, 1998, p. 3; Papava, 1996, p. 252; Schmitter, 1994].

აშკარაა, რომ სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუციების არარსებობა დამატებით *საფრთხეებს* წარმოქმნიდა ფედერაციული სახელმწიფოების დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გზას დაადგნენ. სამწუხაროდ, ეს სირთულეები აღმოჩნდა საქართველოშიც მას შემდეგ, რაც 1991 წელს შეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. შედეგად, მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში როგორც საქართველოში, ისე სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა და მათი ძირითადი საფრთხეები

სხვადასხვა პსოტკომუნისტურ ქვეყანაში მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ არსებული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე (მაგალითად, [Hare, Turley, eds. 2013; Kolodko, Tomkiewicz, eds. 2011; Ролан, 2012]) ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა – „შოკური თერაპია“ და „გრადუალიზმი“ გამოიკვეთა (მაგალითად, Bożyk P. 1999; Hoen, 1999; Богомолов, 1998, сс. 49-52).

ეკონომიკურ ლიტერატურაში „შოკური თერაპია“ ასევე ცნობილია, როგორც „დიდი აფეთქება“ (ინგლისურად “Big Bang” [Kowalik, 1994, p. 116], ხოლო რუსულად «Большой удар» [Автономов, 1996, с. 12], «Большой рывок» [Гайгер, 1996, с. 388], «Большой скачок» [Ростовский, 1997, с. 21]) და ის შემჭიდროებულ ვადებში რაც შეიძლება მეტ გატარებულ რადიკალურ რეფორმებს გულისხმობს. ამ რეფორმებს შორის უმთავრესია ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მაქსიმალურად შემცირება) და მკაცრი ფულადსაკრედიტო პოლიტიკის გატარება ნომინალური ფულის მასის ან

ვალუტის გაცვლითი კურსის ფიქსირების პირობებში. საყურადღებოა, რომ „შოკური თერაპია“ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ სცენარს ეფუძნება [Киселева, 1996, с. 113]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შოკური თერაპია“ ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ იდენტურია [Попов, 1998, с. 42], რაც მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ზე გადასვლისას საფუძვლად დაედო იმ რეფორმებს, რომელთა გატარებასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი უჭერენ მხარს [Стиглиц, 1998].

„შოკური თერაპიის“ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული სცენარით გატარების სუსტი მხარე პოლიტიკური არასტაბილურობაა. სხვა სიტყვებით, თუ ამ უკანასკნელს არ აქვს მყარი საფუძველი, დიდია *საფრთხე*, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული სცენარი წარმატებით ვერ განხორციელდეს, ჩავარდეს. მაშასადამე, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული სცენარის წარმატებას ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობის *საფრთხე* ემუქრება [Johem, 1999]. თანაც „შოკური თერაპიის“ წარმატება დიდაა დამოკიდებული სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუციების არსებობას და მეტ-ნაკლებად გამართულ ფუნქციონირებას.

რადგან „შოკური თერაპია“ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ სცენარს ეფუძნება, რის გამოც ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაცია (განულება თუ არა) წამგებიანი საწარმოებისთვის დოტაციების გაუქმებას ითვალისწინებს, აშკარაა, რომ მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეს გზა აუცილებლად იწვევს ნეკროეკონომიკური საწარმოების [Papava, 2002, 2005a] გაჩერებას, ეკონომიკურ ვარდნასა და უმუშევრობის ზრდას. ეს საფრთხეები აუცილებლადაა მხედველობაში მისაღები „შოკური თერაპიაზე“ დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას.

„შოკური თერაპიიდან“ განსხვავებით „გრადუალიზმი“ პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმების თანდათანობით გატარებას ნიშნავს [Крегель, Мацнэр, Грабхер, 1992, сс. 11-16].

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის „გრადუალისტური“ გზის წარმატება უშუალოდაა დამოკიდებული თანდა-

თანობითი რეფორმირებისათვის შემდეგი *აუცილებელი პირობების* შესრულებაზე:

1. *პოლიტიკური გარანტიების არსებობა*, რამაც მოსახლეობის მხრიდან საბაზრო რეფორმების მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს, რაც, თავის მხრივ, მთავრობას აძლევს იმის საფუძველს, რომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლი შეინარჩუნოს. ფაქტობრივად, ე.წ. საბჭოთა "პერესტროიკის" პერიოდში მყოფ საბჭოთა კავშირში ამ აუცილებელი პირობის შესრულებას საფუძველი ჰქონდა გამოცლილი [Всемирный Банк, 1996, сс. 11-16];

2. *ეკონომიკური რეფორმების საკუთარი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა*, რადგანაც, თუ რომელიმე ქვეყანას ის არ გააჩნია, მას გაუჭირდება წარმატებული რეფორმების განხორციელება იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედებენ „ვაშინგტონის კონსენსუსის", ანუ „შოკური თერაპიისათვის" დამახასიათებელი სქემებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გრადუალისტური მიდგომის განსახორციელებლად, სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნას საკუთარი მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროები უნდა გააჩნდეს.

თქმულიდან გამომდინარე, თანდათანობითი რეფორმირებისათვის ხსენებული ორივე აუცილებელი პირობის ერთდროულად შესრულების გარეშე, მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „გრადუალისტური" გზა ჩავარდნაზეა განწირული. ამის თვალსაჩინო მაგალითი კი „პერესტროიკის" პროცესში მყოფი საბჭოთა კავშირია, რომელსაც ამ ორი აუცილებელი პირობიდან არ შეეძლო პირველის შესრულება და საბაზრო ტიპის რეფორმები თავად საბჭოთა იმპერიის სრული კრახით დასრულდა.

მაშასადამე, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის „გრადუალისტური" გზის წარმატებას *საფრთხეს* უქმნის ხსენებული აუცილებელი პირობებიდან თუნდაც ერთ-ერთი მათგანის შეუსრულებლობა.

ეკონომიკის „გრადუალისტური" რეფორმირების ყველზე წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი [Cheung, 1998; Nafziger, 1997, pp. 597-607], რომელმაც შეძლო კომუნისტური პარტიის წამყვანი როლის შენარჩუნებაც და საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზებაც.

იმ ქვეყნების გამოცდილებამ, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში „შოკური თერაპია“ იქნა გამოყენებული ცხადყო, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ყველაზე შთამბეჭდავი წარმატება იმ ქვეყნებს ჰქონდათ, სადაც რეფორმამდელი ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, რის გამოც მოსახლეობისათვის „შოკი“ აღარ უნდა ყოფილიყო დიდად „მტკივნეული“ [Гайгер, 1996, с. 388]. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს 1994-1995 წლების საქართველო წარმოადგენს. შეიძლება ასეც ითქვას, რომ სხვა თანაბარ პირობებში „შოკური თერაპიის“ წარმატების ფორმულაა: „რაც უარესია – მით უკეთესია“. სხვა სიტყვებით, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის თვალსაჩინოა „მინიმალური შოკი, მაქსიმალური თერაპიით“ [პაპავა, 2002, გვ. 54].

თუკი პოსტკომუნისტური ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში გამოყენების თვალსაზრისით არჩევანია გასაკეთებელი „შოკურ თერაპიასა“ და „გრადუალიზმს“ შორის, აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რამდენადაა გააზრებული „თანდათანობითი რეფორმირების“ ზემოთ მოყვანილი აუცილებელი პირობების შესრულება [Абалкин, 1996; Илларионов, 1996]. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაღალია *საფრთხე* იმისა, რომ ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკა აღმოჩნდეს წარუმატებელი.

აქვე აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ „შოკური თერაპიის“ საფუძველზე ინსტიტუციური რეფორმების ჩატარება წარუმატებლობისთვისაა განწირული [Stiglitz, 1999]. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისას, ხშირ შემთხვევაში, ეს *საფრთხე* სულაც არ ყოფილა გათვალისწინებული.

პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმების სავარაუდო ტემპები და ძირითადი საფრთხეები

ინსტიტუციური (და არა მარტო) რეფორმების ჩატარების თავისებურებიდან გამომდინარეობს ის, რომ „შოკური თერაპია“, როგორც ასეთი, მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს სრულად ვერ უზრუნველყოფს.

როგორც ცნობილია, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი შემდეგ ღონისძიებათა გატარებას გულისხმობს [Lipton, Sachs, 1990]:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების შეუფერხებელი შესაძლებლობა;
4. საწარმოთა რეფორმა, მათ პრივატიზაციზე აქცენტის გაკეთების გზით;
5. სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნა;
6. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის (და მასში საბაზრო ფინანსური სისტემის) შექმნა.

თუკი იქიდან გამოვალთ, რომ „შოკური თერაპია“ გარკვეული ტიპის ეკონომიკური რეფორმების სწრაფად გატარებას გულისხმობს, გამოდის, რომ ის („შოკური თერაპია“) შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის მოცემული ღონისძიებებიდან მხოლოდ პირველ სამზე, რადგანაც დანარჩენი სამის განხორციელება ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროებს გარკვეულ დროს: მე-4 სულ ცოტა რამდენიმე თვეს, მე-5 საშუალოდ 20-25 წელს (განსაკუთრებით, საპენსიო დაზღვევის მიმართულებით) და მე-6 საშუალოდ 10-15 წელს [Фишер, Сахаи, 1997, с. 20].

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, ხსენებული ღონისძიებიდან გამომდინარე, ძირითადი განსხვავება „შოკურ თერაპიასა“ და „გრადუალიზმს“ შორის მდგომარეობს იმაში, რომ „შოკური თერაპიის“ თანახმად პირველი სამი ღონისძიების გატარება შეიძლება სწრაფად, მაშინ როცა „გრადუალიზმი“ უპირატესობას ამ ღონისძიებათა თანდათანობით გატარებას ანიჭებს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის ამ თავისებურების არგათვალისწინება შეიძლება გახდეს მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემაფერხებელი ბარიერი. სწორედ ამ *საფრთხის* წინაშე აღმოჩნდნენ ის პოსტკომუნისტური ქვეყნები, რომლებმაც შეგნებით თუ შეუგნებლად სცადეს სწრაფი შედეგების მიღება სოციალური დაზღვევის სისტემის, თუ საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის შექმნაში.

დასკვნა

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისში შესაბამისი თეორია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სამწუხაროდ, არ არსებობდა, რამაც ეკონომიკურ პოლიტიკაში შეცდომების რეალური დაშვების საფრთხეები შექმნა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში წარმატების მისაღწევად განსაკუთრეულ საფრთხეს ქმნიდა ის გარემოება, რომ ამ პროცესის საფუძვლად აღებულია ისეთი სქემები, რომლებიც არ ითვალისწინებდა იმას, თუ როგორი იყო ამა თუ იმ პოსტკომუნისტური ქვეყნის სასტარტო პირობები: ჰქონდა თუ არა მოცემულ კონკრეტულ ქვეყანას სახელმწიფოებრიობის შესატყვისი ინსტიტუციები. ბუნებრივია, რომ ამ ინსტიტუციების არარსებობამ დამატებითი საფრთხეები შეუქმნა შესაბამის ქვეყნებს.

მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა – „შოკური თერაპია“ და „გრადუალიზმი“.

„შოკური თერაპიის“ საშუალებით ეკონომიკის რეფორმირებაში წარმატების მიღწევის უმთავრეს საფრთხეს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობა წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ „შოკური თერაპია“ ეკონომიკას უქმნის იმ საფრთხეს, რომ წამგებიან საწარმოთათვის დოტაციების გაუქმება იწვევს ნეკროეკონომიკური საწარმოების გაჩერებას, ეკონომიკის ვარდნასა და უმუშევრობის ზრდას.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის „გრადუალისტური“ გზის წარმატებისათვის აუცილებელია შემდეგი ორი პირობის შესრულება: პოლიტიკური გარანტიების არსებობა და ეკონომიკური რეფორმების საკუთარი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ამ ორი პირობიდან ერთ-ერთის შეუსრულებლობა ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის „გრადუალისტური“ გზის წარუმატებლობისათვის რეალურ საფრთხეს ქმნის.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი მოიცავს ორგვარი ტიპის ღონისძიებებს: პირველი ტიპის ღონისძიებების გატარება სწრაფადაა შესაძლებელი, ხოლო მეორე ტიპის

ღონისძიებების წარმატებული გატარება მოითხოვს შედარებით ხანგრძლივ პერიოდს. ამ უკანასკნელთა სწრაფად გატარება ქმნის იმის რეალურ საფრთხეს, რომ მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა აღმოჩნდეს წარუმატებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

პაპავა ვ., 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, „პდპ“.

Balcerowicz L. 1995. *Socialism, Capitalism, Transformation*. Budapest, CEU.

Bożyk P., 1999. “Gradualism versus Shock Therapy.” In *Systemic Change in Post-Communist Economies*. P. G. Hare, ed. London, Macmillan Press.

Cheung S. N. S. 1998. “Den Xiaoping’s Great Transformation.” *Contemporary Economic Policy*, Vol. XVI, No. 2.

Hare P., Turley G., eds. 2013. *Handbook of the Economics and Political Economy of Transition*. London, Routledge.

Heilbroner R., Milberg W. 1996. *The Crisis of Vision in Modern Economic Thought*. Cambridge, Cambridge University Press.

Hoen H. W., 1999. “‘Shock versus Gradualism:’ The Inappropriateness of the Labels Applied to the Strategies in Central Europe.” In *Systemic Change in Post-Communist Economies*. P. G. Hare, ed. London, Macmillan Press.

Johem A., 1999. “Monetary Stabilization in Countries in Transition.” *International Advances in Economic Research*, Vol., 5, No. 1.

Kolodko G. W., Tomkiewicz J., eds. 2011. *20 Years of Transformation: Achievements, Problems and Perspectives*. New York, Nova Science Publishers.

Kowalik T., 1994. The “‘Big Bang’ as a Political and Historical Phenomenon: A Case Study on Poland”. In *Transition to a Market Economy at the*

End of the 20th Century. Eleventh International Economic History Congress, session A-3, September 12-17, 1994, Milan, Italy. I. T. Berend, ed. München, Sutdeseuropa – Ges.

Lipton D., Sachs J. 1990. "Creating a Market Economy in Eastern Europe: the Case of Poland." *Brookings Papers on Economic Activity*, No. 1.

Milanvic B., 1998. *Income, Inequality and Poverty during the Transition from Planned to Market Economy.* Washington, The World Bank.

Nafziger E., W., 1997. *The Economics of Developing Countries.* Upper Saddle River, Prentice – Hall.

Papava V., 1996. "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'." *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.

Papava V., 2002. "Necroeconomics—the Theory of Post-Communist Transformation of an Economy." *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 10.

Papava V., 2005 a. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.

Papava V., 2005 b. "On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market." *International Journal of Social Economics*, Vol. 32, No. 1/2.

Schmitter P. C., 1994. "Dangers and Dilemmas of Democracy." *Journal of Democracy*, March.

Stiglitz J. E., 1999. *Whither Reform? Ten Years of the Transition.* Annual Bank Conference on Development Economics, April 28-30, 1999. Washington, The World Bank.

Абалкин Л. И., 1996. «Экономические реалии и абстрактные схемы (о концептуальных основах монетаристской программы финансовой стабилизации)». *Вопросы экономики*, № 12.

Автономов В. С., 1996. «Политическая экономия переходного периода». *Мировая экономика и международные отношения*, № 9.

Бертенев С. А., 1996. *Экономические теории и школы (история и современность)*. Москва, БЕК.

Богомолов О. Т., 1998. *Реформы в зеркале международных сравнений.* Москва, «Экономика».

Всемирный Банк. 1996. *От плана к рынку. Отчет о мировом развитии – 1996*. Oxford, Oxford University Press.

Гайгер Л. Т., 1996. *Макроэкономическая теория и переходная экономика*. Москва, ИНФРА-М.

Илларионов А., 1996. «Модели экономического развития и Россия». *Вопросы экономики*, № 7.

Киселева Е. А., 1996. «Макроэкономическая стабилизация: ортодоксальный и гетеродоксный сценарии». В кн. *Основы теории переходной экономики*. Е. А. Киселева, М. Н. Чепурина, ред. Киров, КОТ.

Крегель Я., Мацнэр Э., Грабхер Г., 1992. *Рыночный шок*. Вена.

Ноув А., 1993. «Какой должна быть экономическая теория переходного периода? (Критический обзор)». *Вопросы экономики*, № 11.

Попов В., 1998. «Динамика производства при переходе к рынку: влияние объективных условий и экономической политики». *Вопросы экономики*, № 7.

Ролан Ж., 2012. *Экономика переходного периода. Политика, рынки, фирмы*. Москва, Издательский дом Высшей школы экономики.

Ростовский Я., 1997. *Макроэкономическая нестабильность в посткоммунистических странах*. Москва, Экономика.

Стиглиц Дж., 1998. «Многообразнее инструменты, шире цели: движение к Пост-Вашингтонскому консенсусу». *Вопросы экономики*, № 8. Фишер С., Сахаи Р. 1997. «Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки». *Вопросы экономики*, № 5.

Vladimer Papava

POST-COMMUNIST TRANSFORMATION AND ASSOCIATED ECONOMIC THREATS

Summary

The paper examines the economic threats associated with the post-communist transformation of the economy, one of the main reasons for which was the lack of a theory of the transition from a command to a market economy. A separate threat was created by the fact that the economic policy of the post-communist transformation did not take into account the presence in a particular country of the corresponding institutions of statehood. The economic threats characteristic of both paths of transition, from a command to a market economy - “Shock Therapy” and “Gradualism” - are discussed.

ვახტანგ ბურდული

გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

ანოტაცია. *ნაშრომში განხილული და სისტემატიზებულია ელემენტები (ატრიბუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები, ცნობიერი რეგლამენტატორები), რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალიზაციის რეალიზაციას საერთოდ და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას კერძოდ. ჩატარებულია თანმიმდევრული ექსკურსი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ძირითად გლობალიზაციათა მიხედვით და ამ გლობალიზაციაში ეკონომიკური და ჰუმანიტარული განვითარების დონის მდგომარეობის მოკლე დახასიათებით. განსაკუთრებული ყურადღებით ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიის (საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციის) სივრცეზე ელიტის ჩანაცვლების მცდელობები და მისი ჩანაცვლება გლობალიზაციის შესაბამის პერიოდებთან კონტექსტში. შემდეგ სისტემატიზებული და მოკლედ გაშუქებულია ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები, დამახასიათებელი გლობალიზაციის უკანასკნელი*